პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 27 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

116 (814) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## [წ]ითელი ჯარის კომკავშირის ორ[გ]ანიზაციების მუშაობა ზაფხულში

[ბ]ანაკად გასვლასთან დაკავ[ში]რებით წითელი ჯარის ახ[ალ]კავშირელთა ორგანიზაცი[ებ]ის წინაშე იჭრება მთელი რი[გი] მნიშვნელოვან ამოცანებისა. [პირ]ველი და მთავარი ამოცანაა [ად]გილობრივ კომკავშირთა ორ[გა]ნიზაციებთან მჭიდრო კავში[რი]ს დაჭერა. ჩვენმა კომკავში[რე]ლებმა ამ მხრივ რაც შეიძ[ლე]ბა მეტად უნდა დაუახლო[ვო]ნ წითელ არმიას სოფლის [კომ]კავშირელები. ამას დიდი [მნი]შვნელობა აქვს. წითელ-არ[მი]ელი კომკავშირელი იჭერს [რა] კავშირს სოფლის კომკავ[ში]რელთან, აცნობს მას წი[თე]ლ არმიის მუშაობას, წითელი [არ]მიის ცხოვრებას. ამავე [დრ]ოს ის სოფლის ახალგაზრ[და]ბაში ეწევა სამხედრო პრო[პაგ]ანდას და აგიტაციას.

[ა]მ მხრივ ჩვენმა სამხედრო [კომ]კავშირთა უჯრედებმა დიდი [საქმ]ე უნდა გამოიჩინონ. მათ [ხელმძღ]ვანელობით უნდა განუმარ[ტო]ნ თავის სოფლის ამხანაგებს [საო]მეო მომზადების და ტერ[იტორიალ]ების მნიშვნელობა.

[გა]რდა ამისა სამხედრო კომკა[ვში]რელების ამოცანას შეადგენს [აქტ]იონ აქტიური მონაწილეო[ბა] ადგილობრივ კომკავშირთა [ორ]განიზაციების მუშაობაში.

[ა]საჭიროა იქ, სადაც ადგილ[ობ]რივ ორგანიზაცია მოიკოჭ[ლე]ბს და სუსტია აქტიური ძა[ლე]ბით, ასეთებს სამხედრო კო[მკა]ვშირთა უჯრედებმა გაუწი[ონ] ხელმძღვანელობა; აუხსნან [და] განუმარტონ თავის ამხანა[გებ]ს ყველა ის ამოცანები, [რო]მლებიც წინ უდგას კომკა[ვში]რს სოფლად. ცხადია, სანამ [ამ] ამოცანებს თავის სოფლის [ამხ]ანაგებს გაუზიარებდენ, ნა[ხევარ]წლის ახკომკავშირთა ორგანიზაციებს თვით მართებთ კარგად გაარჩიონ და შეითვისონ ეს საკითხები.

განსაკუთრებით ვიმეორებთ ჩვენი სამხედრო კომკავშირელებმა უნდა მიაქციონ ყურადღება სამხედრო პროპაგანდის საქმეს სოფლის ახალგაზრდობის შორის და ამ მხრივ გამოიმუშავონ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებისა.

ნუ დავივიწყებთ რომ სოფლის კომკავშირელთა და საერთოდ ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა ჩვენი ჯარის მომავალი წითელ-არმიელებია. რამდენათ უფრო დაახლოებით გაცნობილი იქნებიან ისინი წინასწარ წითელი ჯარის მუშაობასთან და ცხოვრებასთან მით უფრო ნაყოფიერი იქნება მათთან მუშაობა, როცა ისინი ჩადგებიან წითელი ჯარის რიგებში.

ჩვენი ჯარის კომკავშირთა ორგანიზაციებმა აგრეთვე დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ძმურ რუსულ ნაწილების კომკავშირის ორგანიზაციებს ადგილობრივ მცხოვრებლებთან დაახლოების საქმეში.

ასეთია დაახლოებით ის ამოცანები, რომლებიც ძევს ჩვენ სამხედრო კომკავშირთა ორგანიზაციების წინაშე ბანაკობის პერიოდში.

წითელი ჯარის რიგების განმტკიცება, გაძლიერება და სოფელთან მჭიდრო კავშირის გაბმა— აი მთავარი მათ მუშაობაში.

## ჩინეთის რეაქციის თავხედობა გრძელდება!

[ჩ]ინეთის მთავრობა კვლავ [გა]გრძობს თავისი თავხედურ [პო]ლიტიკას საბჭოთა კავშირის [მიმ]ართ. მიუხედავად იმისა, [რო]მ მათ ამხ. კარახანმა უკვე [მისც]ა საპროტესტო ნოტა გაუ[ზიარე]ბა ჩინეთ-საბჭოთა ხელშე[კრუ]ლების დარღვევის წინაალ[მდე]გ. ჩჟან-ზო-ლინი და მისი [დ]ამქაშეები ყურსაც არ იბერ[ტყ]ენ და მოლაპარაკებას აწარ[მო]ებენ ინგლის-ამერიკის იმპე[რია]ლიზმთან ბოლშევიკების [გა]დევნის შესახებ ჩინეთიდან. [ჩ]ვენ იმ თავითვე, რაც დაი[წყ]ო ჩინეთის მხრივ მტრული [გა]მოსვლები ჩვენს წინააღმდეგ, ვაღიარეთ რომ ჩჟან-ზო-ლინისა და მათი დამქაშეების უკან ამოფარებულია ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი.

ჩვენი დებულებები სავსებით გამართლა უკანასკნელად მოსულ დეპეშებმა. ჩჟან-ზო-ლინმა მოიწვია ინგლისის და ამერიკის ელჩები და სთხოვა 200 მილიონი დოლარი სესხი; სამაგიეროთ მათ დაპირდა „საბჭოთა ხელისუფლების განდევნა სამხრეთ-ჩინეთის რკინის გზიდან“. ერთი სიტყვით ჩინეთის რეაქციის თავმა და ჩინეთის მშრომელთა მასების ინტერესების საზიზღარ გამყიდველმა ჩჟან ზო-ლინმა აშკარად განიზრახა საბჭოთა კავშირთან მეზობლური დამოკიდებულების გაწყვეტა და ინგლის-ამერიკის მტაცებლური იმპერიალიზმის სამსახური.

ამას კი დიდი ხანია ნატრობენ ამერიკის და ინგლისის მტაცებლური მთავრობები.

საბჭოთა კავშირის მიღწევებმა და მისი ავტორიტეტის არაჩვეულებრივ ზრდამ აღმოსავლეთში ძილი დაუფრთხეს ევროპას და ამერიკის კაპიტალისტებს. განსაკუთრებით ისინი ვერ ურიგდებოდენ საბჭოთა ხელისუფლების მჭიდრო დაახლოებას ჩინეთთან. და აი დღეს თავისი მოსარჩლე ჩჟან-ზოლინის საშუალებით ისინი სცდილობენ ჩინეთის ხალხის და საბჭოთა მშრომელთა შორის მტრობის და შურის ჩამოგდებას და ამით სურთ თავისი ბრჭყალები უფრო მეტად ჩასჭიდონ მრავალტანჯულ ჩინეთის ხალხის სხეულში.

მაგრამ სასტიკად სტყუვდებიან, როგორც ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები, ისე მათი მოსარჩლე ჩინეთის რეაქციონერები.

ჩინეთის მშრომელთა მასა, რომელიც აღფრთოვანებით შეეგება ჩინეთ—საბჭოთა დაახლოების საქმეს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებაში ხედავს თავის უერთგულეს მეგობარს და დამცველს, არას დროს არ დათანხმდება ამ უკანასკნელთან კავშირის გაწყვეტაზე.

მალე ის ამ კავშირის მტერს მოუგრეხს კისერს, ვიდრე ჩვენთან კეთილ მეზობლური განწყობილების დარღვევას დაუშვებს.

ჩინეთის რეაქცია ძლიერ გათავხედდა, იმედია ჩინეთის ხალხი მას დროზე ამოსდობს ლაგამს და ხელს აალებინებს შავ ზრახვებზე.

—ფ.

# ახალი რადიო-ამბები

## მანჯურია ჩინეთის რეაქციის დასაყრდნობია.

ჩინეთის შავრაზმელი გენერლები თანდათან ავიწროებენ ხარბინში საბჭოთა მოქალაქეებსა და მუშათა ორგანიზაციებს.

იქ თავი წამოჰყო თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებმა და რუსულ მონარქისტულმა კავშირებმა. განსაკუთრებით თავი აიშვეს მათ გენერალ ბაოგუცზიანის მიერ რკინის გზის მმართველის ივანოვის ბრძანების შეცვლის შემდეგ.

მანჯურია გადაიქცა ჩრდილოეთ ჩინეთის რეაქციის ბუდეთ. ამ რეაქციონურ ჯგუფებს მხარს უჭერენ იაპონელები, რასაც ჩინელებიც არ ფარავენ.

ჩინეთის რეაქციონური გაზეთი სწერს:

„თანდათან აშკარა ხდება მესამე სახელმწიფოს ცდები ჩინეთთან დაახლოებისა.

ბრძანება თეთრების დათხოვნის შესახებ რკინის გზიდან აიძულებს ჩინეთს გასწყვიტოს რუსეთთან მეგობრობა და დაუახლოვდეს მესამე სახელმწიფოს.“

## ინგლისის მუშებო, დაიცავით საბჭოთა კავშირი!

ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის აღმასკომმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობა ხელს უშლის ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას და მთავრობის პრესის კამპანიას მიზნად აქვს გააძლიეროს მტრული განწყობილება საბჭოთა კავშირის მიმართ. რეზოლიუცია მოუწოდებს ინგლისის მუშებს წინაღუდგენ ასეთ ზრახვებს, რომელთა მიზანია გამოყვანილ იქნას საბჭოთა კავშირი მთელი ქვეყნების მტრად.

## შავი მალების თარეში ბულგარეთში.

ბულგარეთის გაზეთების ცნობით პლევნაში, ნოვეცში, იაბლონიცაში და სხვა ადგილებში სწარმოებს მასიური დაპატიმრება. სოფიაში ჩხრეკენ მუშათა უბნებს. დაპატიმრებულია 50 კაცი. სტარაია ზაგორაში დაპატიმრებულია 200 მეტი კაცი.

ხმებია, რომ საშუალო სკოლებში აღმოაჩინეს რევოლიუციონური ორგანიზაციები. პლევნაში დააპატიმრეს 20 მოწაფე ქალ-ვაჟ. ვრატცეში პოლიციამ ლიკვიდაცია გაუკეთა კომკავშირის ჯგუფს. 10 მაისს სამხედრო რაზმი თავს დაესხა კომუნისტების ჯგუფს. ჯარის კაცებმა თავი მოჰკვეთეს მოკლულს, წამოაგეს ხიშტზე ჩამოატარეს პეშტერის ქუჩებზე.

ვარნას და ხასკოვის ციხეში გახშირდა საშინელი თვითმკვლელობა.

## ამხ. კარახანის კატეგორიული მოთხოვნილება.

როგორც ვიცით აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე უთანხმოება წამოიჭრა შემდეგ ნიადაგზე: რკინის გზის გამგეობის



ამხ. კარახანი

თავმჯდომარემ ბაოგუიცზონმა შესცვალა გზების გამგე ივანოვის ბრძანება, რომლის თანახმად უნდა დათხოვნილიყო ის მოსამსახურეები, რომლებიც არ არიან საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ქვეშევრდომები, მეტნაწილად—თეთრგვარდიელები.

ამის გამო საბჭოთა კავშირის სრულ - უფლებიან წარმომადგენელმა ჩინეთში კარახანმა სასტიკი პროტესტით მიმართა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. კარახანი აცხადებს, რომ ბაოგუიცზინის მოქმედება უკანონოა და არღვევს შეთანხმების პირობებს. ასეთი მოქმედება აშკარა დახმარებაა მონარქისტულ ელემენტებისადმი, რომლებიც დღემდის მსახურობენ რკინის გზაზე.

კარახანის ნოტა მოითხოვს ბაოგუიცზინის ბრძანების გაბათილებას და მის გადაყენებას.

## ფაშისტების საქმენი საგმირონი.

გლაზგოში ფაშისტები თავსდაესხა მუშათა მემარცხენე ორგანოს „სანდეი უორკერ-“ის რედაქციის განყოფილებას და გაანადგურეს დიდძალი ლიტერატურა.

ერთი თავდამსხმელთაგანი, გვარად მეკოლო, დაპატიმრებულ იქნა. დაკითხვის დროს მეკოლო გამოტყდა, რომ ის შევიდა კომპარტიაში, როგორც ფაშისტების ჯაშუში.

## სავაჭრო კავშირი ესპანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ქალაქ ბარსელონას (ესპანეთში) ვაჭართა საზოგადოებამ გამოუგზავნა ჩრდილოეთ-დასავლეთის საოლქო სავაჭრო პალატას წინადადება საბჭოთა კავშირთან მჭიდრო სავაჭრო კავშირის აღდგენის შესახებ.

## საფრანგეთის ბურჟუაზიის დაპყრობითი ზრახვები.

პარიზის პარლამენტის ახალი ბლოკის ჯგუფებმა განაცხადეს, რომ ისინი ხმას მისცემენ მთავრობის ნდობის საკითხს საფრანგეთის ღირსებისა და უფლებების და აგრეთვე რიფფებთან საზღვრების დაცვის მიზნით.

რესპუბლიკანურ კავშირის ჯგუფმა სენატში დაადგინა ენერგიულად მიემხროს იმ ზომებს, რომელთა მიზანია რიფფების შემოტევის საჩქაროდ ჩაქრობა.

## უახლესი შეთანხმდენ.

„დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტის ცნობით საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება მაროკოს შესახებ.

## მდგომარეობა მაროკოში.

ტაუნ-მულაიენის რაიონში საფრანგეთის ექვსი პოსტი, რომლებსაც ყოველდღე გარს ერტყმებოდა რიფები, დაცლილ იქნა, რათა მეტი თავისუფლება მიეცეს მფრინავ რაზმებს, რომლებიც აწვდიან ტყვია-წამალსა და სანოვაგეს.

კამბოს რაზმს მოუვიდა დამხმარე ძალები, რათა შეუტიოს აჯანყებულებს, რომელთაც სურთ აიღონ კიფფენი.

## საბჭოთა კავშირში მოდის მიუნხენის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კომისია.

### მოდიან, რომ საკუთარის თვალით ნახონ სიმართლე.

მიუნხენის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პლენარულმა სხდომამ დაადგინა გააგზავნოს საბჭოთა კავშირში კომისია ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენლებისაგან. კომისიას მინდობილი აქვს გამოარკვიოს რუსეთის მუშებისა და გლეხების ეკონომიური მდგომარეობა.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

### ვოიკოვის ჩამოსვლა პოლონეთიდან.

**24** მაისს მოსკოვში პოლონეთიდან ჩავიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში **ვოიკოვი.**

### პოლონეთის პოლიტიკური ემიგრანტები.

პოლონეთის განაპირა ადგილებში ტერორის გაძლიერების გამო მინსკში იყრიან თავს პოლონეთიდან გამოქცეული დიდძალი პოლიტიკური ემიგრანტები.

პოლიტემიგრანტების დამხმარე საზოგადოების ბელორუსიის განყოფილება ყოველმხრივ დახმარებას უწევს მათ.

## ზარალი წვიმების გამო როსტოვში

მთელი კვირის განმავლობაში როსტოვში განუწყვეტელი წვიმები იყო. ქალაქის ყველა რაიონებში ჩამოინგრა მრავალი სახლი და წყლით აივსო მუშათა ბინები. სწარმოებს სასწრაფო დახმარება.

## სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მკვლელობა.

სადგურ ვატაისკსა და ზლოდეისკაიას შორის სასიკვდილოდ დასჭრეს თავში ხომუტოვოს სტანიცას სოფლის საბჭოს თავმჯდომარე **კსენდზი.**

## კონტრრევოლიუციონერის დახვრეტა

დონის როსტოვის საოლქო სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა ყოფილ დამცველ რაზმელს ილიაშევს, რომელიც ცარიზმის დროს სასტიკად დევნიდა ბოლშევიკებს. თეთრების დროს ილიაშევი ხვრეტდა, აწამებდა ტყვეებს,ართმევდა ქონებას წითლებთან წასულ ყაზახების ოჯახებს.

განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

## საბჭოთა ამიერ-კავკასია

### აზერბაიჯანის მასწავლებელთა პირველი ყრილობა.

25 მაისს გაიხსნა სრულიად აზერბაიჯანის მასწავლებელთა პირველი ყრილობა. ყრილობის ორ წილს სოფლის მასწავლებლობა შეადგენს. ყრილობაზე დაყენებულ იქნა წითელარმიელთა და პიონერთა შეერთებული საპატიო ყარაული. ყრილობამ მიიღო მრავალი მისალმება. ამას გარდა ყრილობამ მიიღო საჩუქრად წითელი დროშა შამქორის მასწავლებლობისაგან.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

### საგანაკო პერიოდისთვის.

**სასროლო კომიტეტის მუშაობა.**

ზამთრის სწავლების პერიოდი სროლის საქმეში—ეს იყო პერიოდი საბრძოლო ვაზნებით სროლის მომზადებისა და „დაწყებითი სროლის“ გავლისა.

გადავდივართ რა საზაფხულო მეცადინეობაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მიღწევები და ნაკლი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გასული ზამთრის განმავლობაში. ამ მიზნით სასროლო კომიტეტმა თავის სხდომაზე დაადგინა ჩაატაროს შეჯიბრებითი სროლა ტფილისის გარნიზონში (ტფილისის 1-ლ ქართულ და კავკასიის მე-9 მსროლელ ლეგიონებს შორის).

შეჯიბრითი სროლის ამოცანაა შემოწმებულ იქნას სასროლო მომზადება ზამთრის პერიოდის განმავლობაში.

შეჯიბრითი სროლისთვის დასახული ვარჯიშობის შესრულება არ გაუჭირდებათ მსროლელებს და მეტყვიამფრქვევებს, რომლებმაც ზამთრის პერიოდში გაიარეს „დაწყებითი სროლა“.

მოცემული ვარჯიშობანი აღებულია „დაწყებითი სროლის“ კურსიდან, და ამიტომ არაფერი ახალი და ძნელად ასასრულებელი მასში არ არის.

შეჯიბრითი სროლის პირობები შემდეგია: დაშვებულ იქნას შეჯიბრებით სროლაში თითო ოცეული ტფილისის გარნიზონის თვითეულ ლეგიონიდან; ოცეულში უნდა იყოს მეომართა თანაბარი რაოდენ[...] ბა აუცილებლად ერთი ოცე[...] ლიდან და არავითარ შემთხვ[...] ვაში არ შეიძლება მეომრებ[...] შევსება სხვა ოცეულიდან.

ეს იმიტომ, რათა ვიქონი[...] სწორი წარმოდგენა სასროლ[...] მიღწევებზე ზამთრის პერიო[...] ში. სროლა უნდა სწარმო[...] დეს იმ იარაღიდან, რომლ[...] თაც შეიარაღებულია მსროლ[...] ლი ოცეული.

თუ რომელი ოცეული უ[...] და იქნას დაშვებული სროლ[...] ზე, ამის შესახებ გამოცხადებ[...] ლი იქნება ერთი საათით ა[...] რე სროლის დეწყებამდი, ა[...] რომ სპეციალური სასროლო [...] რჯიშის საშუალება აღარ [...] ნება ლეგიონის ამა თუ იმ ო[...] ულს.

ნიშნავს რა შეჯიბრები[...] სროლის ჩატარებას ტფილის[...] გარნიზონში, სასროლო კო[...] ტეტი იმედოვნებს, რომ სამხ[...] დრო ნაწილების სასროლ[...] კომიტეტები მიბაძავენ ამ მა[...] ლითს და ზაფხულის სწავლ[...] ბის დასაწყისში ჩაატარე[...] ასეთ სროლებს თავისი ნაწ[...] ლის ან საბანაკო შეკრებ[...] ფარგლებში, რის შედეგად [...] უნდა გაუზიარონ და გააცნ[...] თავიანთი მიღწევები არმ[...] სასროლო კომიტეტს.

ი. ბარ.

## ᲖᲔᲓᲛᲔᲢ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ეჭვ გარეშეა, რომ ზედმეტ დატვირთვის საკითხი მეტად საჭირბოროტოა ჩვენ უფპოლიტშემადგენლობისთვის. ადგილებიდან არა ერთხელ და ორჯერ ისმის ჩივილი ამ საკითხის გარშემო.

ეს საკითხი არ არის ახალი. უმეტესად მწვავედ წამოიჭრა ის მას შემდეგ, რაც გ. წ. ბოლო თვეებში ჩატარებულ იქნა წითელ არმიის რეორგანიზაცია. დისკუსია დატვირთვის შესახებ რამოდენიმე თვეა ტარდება ცენტრალურ სამხედრო გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“. ადგილებიდან აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პრესის საშვალებით და საკითხის დაახლოვებით შესწავლას სამხედრო რევსაბჭოს მიერ მოჰყვა შედეგათ ის, რომ, რევსაბჭოსთან იქნა დაარსებული კომისია, რომელსაც დაევალა ამ საკითხის ყოველ მხრივი შესწავლა და ზედმეტ დატვირთვის საკითხის გადაჭრისათვის კონკრეტიულ ზომების დამუშავება. გარდა ამისა ბოლო ხანებში ზედმეტ დატვირთვის საკითხი ისმებოდა ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან თათბირებზე.

რესპუბლ. პოლიტსამმართველოსთან მოწვეულ კომუჯრედის მდივნების თათბირმა ამხ. ფრუნზეს მოხსენების გარშემო დადგენილებებში აღნიშნა:

8) „თათბირი სცნობს, რომ წითელ არმიის უფპოლიტშემადგენლობის მეტად რთულ მოვალეობების წარმატებით შესრულების ძირითად პირობათ უნდა ჩაითვალოს ზედმეტ დატვირთვის თანდათანობით მოსპობა, ყოველ უფრ. და პოლიტშემადგენლობის ყველა მოვალეობების სწორ რეგლამენტაციის გზით.

სამუშაო დღის ნორმალიზაცია და დაახლოვება სამხედრო და პოლიტიკურ სწავლების პროგრამისა უნდა იქნეს აყვანილი განვითარების იმ საფეხურამდე, რომლის შესრულება შესაძლებელი იქნება მუშაობის ობიექტიურ პირობებში.

**ზედმეტ დატვირთვის ძირითადი მომენტები.**

ამ ჟამად ზედმეტ დატვირთვა შესდგება შემდეგ ძირითად მომენტებისაგან:

1. უფპოლიტშემადგენლობის შტატის შეუვსებლობა.
2. პირდაპირ მოვალეობების ასრულების გარდა, დატვირთვა ზედმეტ სამუშაოდ.
3. კომისიების მუშაობა.
4. დატვირთვა პარტდავალებებით.
5. ოჯახზე ზრუნვა.
6. მეცადინეობის ჩატარებისთვის წინასწარ მზადება და თვითგანვითარება და სხვა.

**უფპოლიტშემადგენლობის შეუვსებლობა.**

წითელ არმიის რეორგანიზაციის შემდეგ ყოველივე სამხედრო პირი საკმაოდ იქნა დატვირთული პირდაპირ მოვალეობებით და ამა თუ იმ მიზეზების გამო რომელიმე მომუშავის წასვლა ნაწილიდან ან შტატის შეუვსებლობა უარყოფითი გავლენას ახდენს დანარჩენ მომუშავეთა სამუშაო დღეზე იმ მხრივ, რომ ადგილი აქვს ზედმეტ დატვირთვას.

მაგალ. ტერნაწილებში ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე მეთაური ან პოლიტხელი სცილდება სხვა და სხვა მიზეზების გამო თავის სპეციალურ დანიშნულებას.

ასეთ ფაქტს კი შედეგათ მოყვება ის არა ნორმალური მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება წერტებზე დანარჩენ მუშაკების ზედმეტ დატვირთვაში.

**საზოგადოებრივი მუშაობა.**

ტერიტორიალურ ნაწილებში თუ მეთაური ან პოლიტხელი წერტზე საკმაოდ არ არის ჩათრეული მაზრის ან თემის საზოგადოებრივი მუშაობაში და არ აქვს მტკიცე კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან; იმ შემთხვევაში ყოველივე სამხედრო და პოლიტიკური მუშაობა წერტზე შეფერხდება და არ მოგვცემს სასურველ ნაყოფს. ცხადია, რომ ეს მუშაობა ხდება ტერნაწილის უფპოლიტშემადგენლობისათვის ზედმეტ სამუშაოდ. მაგრამ ის მაინც წარმოადგენს მის მუშაობის პროცესში, ერთ-ერთ ძირითადი ამოცანას.

საზოგადოებრივი მუშაობა გამოიხატება აგრეთვე თვითმოქმედ ორგანიზაციების მუშაობაში, როგორიც არის „რემედასი“, „დობროქიმი“, „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება“ და სხვა. ყველა ეს ორგანიზაციები არსებობენ თითქმის ყველა ნაწილებში და თვეში რამდენჯერმე იკრიბებიან. ამ კრებებზე აუცილებელია უფპოლიტშემადგენლობის დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მაგ. მეთაური არ დაესწრო ასეთ კრებას, მაშინ ის კრების თვალსაზრისით ჩაითვლება ნაწილის პასიური წევრად, მოკლებულ ყოველგვარ ენერგიისა საქმისადმი.

**პოლიტიკური მუშაობა.**

უფპოლიტშემადგენლობა იღებს მონაწილეობას ნაწილის პოლიტიკურ მუშაობაში, როგორიც არის: პოლიტმეცადინეობა წითელ-არმიელებთან, უფშემადგენლობასთან, მუშაობა ლენკუთხეებში, წრეებში, მასიური მუშაობა კლუბში, სამხედრო-სამეცნიერო წრის მუშაობა და სხვა.

**კომისიები.**

ზედმეტ დატვირთვაზე დიდ გავლენას ახდენს კომისიების მუშაობა. აქ ბევრ შეცდომებს აქვს ადგილი. ნაწილებში ხშირ ხშირად ინიშნება სხვა და სხვა კომისიები ამა თუ იმ საქმის გასარჩევად ან სხვა მუშაობის ჩასატარებლად. ბევრია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ამ კომისიების დანიშვნა სრულიად ზედმეტია მაშინ, როდესაც „საკითხის გადაწყვეტა და სისრულეში მოყვანა შეუძლია თვით ნაწილის უფროსს.

როდესაც ინიშნება ესა თუ ის კომისია, მაშინ არ არის მიზანშეწონილი იმ მომენტის გათვალისწინება, თუ რამდენად ნაყოფიერია და შესაძლებელია იმ პირის, რომელიც შედის კომისიაში, თავის პირდაპირ საქმიანობიდან დროებით დაშორება.

(გაგრძელება იქნება).

ი. რუდოვსკი.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

### გაზებისაგან აქტიური თავდაცვა.

წინად, როცა ომი ძველი წესებით სწარმოებდა, თავდაცვის საუკეთესო ხერხად ითვლებოდა „აქტიური მოგერიება“, ე. ი. თავდასხმის ინიციატივის ხელში ჩაგდება და მტერზე შემმუსვრელი და რაც შეიძლება მოულოდნელი თავდასხმა.

ასეთ „აქტიურ თავდაცვას“ დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ ჟამად ის მეტად გართულებულია. ის მოითხოვს წინასწარ გაიგო მტრის მზადება თავდასასხმელად და ხელი შეუშალო მის მზადებას, ხოლო შემდეგ დაუყონებლივ დაესხა მას თავს ქიმიური საშვალებებით. ეს უკანასკნელი გარემოება მეტად რთული და დიდათ განირჩევა თავდასხმის ძველი წესებისაგან.

წინად, როცა თავდასხმის იარაღს წარმოადგენდა ხელით სატყორცნი გრანატა, თოფი ხიშტით და ხმალიც კი, გამბედაობა და ამ იარაღების ხმარების ცოდნა უზრუნველყოფდა თავდასხმის წარმატებას. ძველად მტრის თავდასხმის დროს თითქმის არც კი ფიქრობდენ თავის დაცვაზე, ვინაიდან იყო მხოლოდ ერთი მიზანი და ერთი მტერი. დღეს სულ სხვაა. გაზის საშვალებით თავდასხმის დროს ყოველ წითელ არმიელს საქმე ექნება **ორ მტერთან: მოპირდაპირის ჯარის კაცთან და გაზთან.** თუ რომ მეომარი თავს ესხმის პირველ მტერს, მეორე გარშემორტყმულ მტრისაგან მომწამვლელი გაზისაგან მეომარს მოუხდება ყოველთვის თავის დაცვა.

ამ რიგად თანამედროვე ქიმიურ ომში ყოველთვის მონაწილეობენ სამი ელემენტი: ორი ერთმანეთის [...] ნააღმდეგ მებრძოლი და მე[...] მე გაზი. აი ამ მესამე მებრძ[...] ლისაგან მოგიხდება თავის [...] ცვა. გარს შემოერტყმება, [...] მეომრებს გაზი არჩევს [...] ზის საწინაღმდეგო საშ[...] ლებით მეომართა სუსტ[...] შეიარაღებულ ადგილს და [...] ხავს რა ასეთ „დაუცველ[...] ადგილს მუსრავს მეომარს. [...] ზისთვის სულ ერთია თუ [...] მელი ორ მებრძოლთაგანი [...] მოუცდელად და ცუდათ ი[...] ვს თავს; ის მუსრავს და [...] ავს ერთნაირად და ამი[...] გაზი მეომართა საერთო მ[...] რია. მაგრამ ერთი მებრძოლ[...] აგანის შემუსვრით გაზი [...] რება მეორე მებრძოლს და [...] რმოადგენს უკანასკნელ[...] თვის ერთგვარ მოკავშირე[...] და მეგობარს, აქედან დასკ[...] საომარი გაზი მეტად საშ[...] და ულმობელი მტერია [...] დევარისა და მისგან თავდაც[...] უცოდინარ მეომრისა, მაგ[...] იგივე საომარი გაზი მე[...] ბარი დაერთგული მოკავში[...] იმ მეომრისა, რომელსაც კარ[...] ესმის გაზისგან თავდაცვის ხე[...] და უფრთხილდება თავის „[...] მცველ“ საგნებს. ზემო ნა[...] ვამს შეიძლება დაუმატოთ [...] მდეგი: აქტიური მოგერიე[...] თავდაცვის საიმედო ხერ[...] მაგრამ ის მოითხოვს არა[...] რტო გამბედაობასა და სიმა[...] ცეს, რაიც წინად დიდ მნი[...] ნელოვნად ითვლებოდა, [...] მედ მეომარს უნდა შეეძ[...] აგრეთვე გაზებიზაგან თავდ[...] ვა.

აქტიური თავდაცვა მხო[...] ოდ ასეთ შემთხვევაში იქ[...] ნამდვილი თავდაცვა.

ლ. ვორონოვ[...]

# მომავალი ტერ-შეკრებისათვის.

ტერშეკრება იწვევს მთელ რიგ შეკითხვებს მუშებისა და გლეხების მხრივ, თუ როგორ რჩება მათი ადგილისა და ხელფასის შენახვის საქმე მათ ძველ სამსახურისა და მუშაობის ადგილზე.

ამიტომ ცვალებად შემადგენლობის შტატში ჩასარიცხავ ყოველ ცვალებად არმიელმა საჭიროა იცოდეს, თუ როგორი დადგენილება არსებობს ამის შესახებ.

წითელი არმიის ტერნაწილებში წინასწარ მომზადებისათვის გაწვეულ მუშებსა და გლეხებს, და აგრეთვე ცვალებად შემადგენლობის შტატში ჩარიცხულთ მთელი წინასწარი მომზადების ან შეკრების პერიოდში ენახებათ თავიანთი თანამდებობა სამსახურის ან სამუშაო ადგილზე.

ტერნაწილში ჩარიცხულს ეკრძალება დივიზიის რაიონიდან გასვლა სათანადო უფროსის ნება დაურთველად.

შეკრების დამთავრებიდან ხელახალ შეკრებამდი ტერ-არმიელს შეუძლია უნებართვოდ გადავიდეს ერთი ადგილიდან მეორეზე მხოლოდ დივიზიის რაიონში. რაც შეეხება ტერ-არმიელის წასვლის ვადის დაწესებას, ეს-ჩვენს პირობებში, ნაწილების სხვადასხვა ადგილას მოთავსების გამო-მოითხოვს დამუშავებას ჩვენს სინამდვილესთან შეფარდებით.

ცვალებად შემადგენლობის შტატში ჩარიცხული მუშები და მოსამსახურეები, როცა გაწვეული იქნებიან ტერნაწილში შეკრებაზე ან მოსამზადებლად, ღებულობენ ჯამაგირის ორ მესამედს საშუალო ხელფასის მიხედვით ძველი სამსახურის ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ რომ მათი ჰასაკის არმიელები გაშვებული არიან წითელი არმიისა და ფლოტის რიგებიდან; მაგრამ ღებულობენ არა უმეტეს ერთი თვის ჯამაგირისა წლის განმავლობაში.

თუ რომ მათი ჰასაკის არმიელები ითვლებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში ან და ჯერ კიდევ არ არ არიან გაწვეულნი სამხედრო ბეგრის მოსახდელად, იმ შემთხვევაში ტერნაწილებში გაწვეულ მუშებსა და მოსამსახურეებს მთელი შეკრებისა და სწავლების განმავლობაში არ ენახებათ სამსახურის ადგილზე ხელფასი და ჯამაგირი. ასეთ შემთხვევაში ის გაწვევის დროს ღებულობს სამუშაო ადგილიდან ორი კვირის დახმარებას.

ამ ჟამად ჩვენში დანიშნულია პირველი სამთვიანი შეკრება 1902 წელში დაბადებულ მოქალაქეებისა, რომელთა ჰასაკიც იმყოფება ნამდვილ სამხედრო სამსახურში. ამ კატეგორიის პირებს შეენახება თანამდებობა სამსახურის ადგილზე, მაგრამ ჯამაგირის მაგივრად მიიღებენ ორი კვირის დახმარებას.

ყველა ამ უფლებებით სარგებლობენ სეზონისა და დროებითი მუშა-მოსამსახურეები, მაგრამ სეზონის ან დროებითი მუშაობის ვადის გასვლამდი.

ტერ-ნაწილებში წინასწარ მოსამზადებლად გამოწვეულ დაზღვეულთა ოჯახები ინარჩუნებენ უფლებებს მთელ დამატებითი დახმარებაზე მთელი სწავლების ვადის გავსლამდი.

ერ.

# პარტიული ცხოვრება.

## ჩვენი სემინარი.

ამ ერთი თვის წინად პირველი დივიზიის მასშტაბით გახსნილი იქნა უჯრედის მდივნების მოსამზადებელი სემინარი. მეცადინეობა სწარმოებდა ყოველდღიურათ 1-ლი ტეხნიკუმის შენობაში, სალამოს 5 საათიდან 8 საათამდე. ამ სემინარში მეცადინეობდენ 1-ლი დივიზიის ყველა ნაწილების უჯრედის მდივნები, რიცხვით 18 კაცი და 2 კაცი მეორე დივიზიის მეხუთე ლეგიონიდან.

მართალია სხვა და სხვა ხელშემშლელი პირობების გამო მეცადინეობა არ სწარმოებდა სისტემატიურად, მაგრამ მაინც კარგ შედეგებს მივაღწიეთ; გავეცანით მეცამეტე ყრილობის რეზოლიუციებს, ნაწილობრივ კომუნისტურ პარტიის ისტორიას და უმთავრესად კი ადგილებზე მუშაობას უჯრედისას, კომუჯრედის მდივნების მოვალეობას და სხვა მეცადინეობა დამთავრდა 15 მაისს. ჩვენ ვერ მოვასწარით სემინარის მთელი კურსის გავლა, რადგან ყველა ნაწილები გაემგზავრენ საბანაკოთ.

სამხკორი მ.—სქი.

## შეუდექით მუშაობას.

№ სოფელში საბანაკოთ გასვლისთანავე ქვეითა ლეგიონის ბატარეიების კომუჯრედებმა 23 მაისს მოიწვიეს პირველი გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრენ პარტიისა და კომკავშირის წევრები და კანდიდატები.

კრებაზე პირველ საკითხად იდგა სამივე ბატარეიების შეერთებული კომუჯრედის ჩამოყალიბება და მდივნის არჩევა.

ამ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გაერთიანებულ იქნენ სამივე ბატარეიების უჯრედები ერთ მთლიან უჯრედში წევრთა სიმცირის გამო. უჯრედის მდივნათ არჩეულ იქნა ამხ. ვ. ღვინიაშვილი.

ამავე კრებაზე არჩეულ იქნა ერთი პარტკორი, რომელსაც დაევალა ნაწილის ბანაკათ ყოფნის დროის განმავლობაში პარტმუშაობის გაშუქება გაზეთის ფურცლებზე.

მომავალ კრებაზე მეთოთხმეტე პარტ-კონფერენციის შედეგებზე მოხსენების გასაკეთებლად კრებამ აირჩია ერთი ამხანაგი.

მიმდინარე საკითხებში რამოდენიმე ამხ—გის მიერ გამოითქვა სურვილი ნაწილში ლენინის კუთხის მოწყობის შესახებ, რაც მიღებულ იქნა კრების მიერ.

პარტკორი პ. ძიძიგური.

# ბანაკის ცხოვრება.

## პირველი ლეგიონი.

ბანაკში გასვლის პირველი დღიდანვე გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა კარვებისა და საწოლი ბინების მოსაწყობათ არმიელები სიხარულით აკეთებდენ ყველაფერს. უფროსების ბრძანება მყისვე სრულდებოდა. ლეგთავი და სამხკომი სულ გვერდში გვიდგენ და იძლეოდენ სათანადო განკარგულებებს.

რამოდენიმე დღის შემდეგ ბანაკი სრულიად გაჩაღდა. წითელი ასეულები უკვე ჩაბანაკდენ თავიანთ კარვებში და დაიწყო ჩვეულებრივი საბანაკო ცხოვრება. აქა იქ მოისმის სიმღერები და მხიარული ყიჟინა.

მიდუმებული მიდამოები გამოაცოცხლა ამდენი ხალხის ერთად თავის მოყრამ.

დღეს წითელ-არმიელებმა ჯგუფ ჯგუფად თავი მოიყარეს გაშლილ მინდორში, ზოგი ტურნიკებს ევლებიან, ზოგს გაზეთები იტაცებს და ზოგიც ჰიდაობის, ფეხბურთის და სიმღერების კორიანტელში არიან გახვეული.

ამ საერთო მხიარულებას, ვიოლაცის ტკბილი სალამურის ხმებიც კი ამშვენებს.

მეთაურებიც აქ არიან. ისინიც მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელთა მხიარულებაში.

ახლად მოსული წითელ არმიელები, მშვენივრად შეეგუენ საბანაკო ცხოვრებას. დისციპლინა საუცხოვოა. ისინი სერიოზულად ეკიდებიან ყოველგვარ დავალებებს. წესრიგის დარღვევის შემთხვევას მათის მხრივ ადგილი არ ჰქონია.

ამ თავითვე ჩვენი საქმიანობა კარგი განწყობილებით დაიწყო და იმედი გვაქვს ეს ბანაკობა ბევრ რამეს შეგვძენს.

სამხკორი ს. იმნაიშვილი

## ჩვენც გავედით საბანაკოდ.

### მეოთხე საგაუბიცო ბატარეია.

სხვა ბატარეიებთან ერთად ჩვენი ბატარეიაც გაემგზავრა საბანაკოდ. წითელ არმიელები დიდი ხალისით შეეგებენ ამ მოვლენას. ისინი ერთი ერთმანეთს გლეჯდენ ხელიდან საქმეს. უნდოდათ ყველაფერი ჩქარა და წესიერად გაეკეთებიათ.

დანიშნულ ადგილზე მისვლის შემდეგ დავნაწილდით და შეუდექით ჩვენ-ჩვენი ამოცანების შესრულებას. რამოდენიმე დღის შემდეგ ბანაკიც გაჩაღდა და ბატარეია დაუბრუნდა თავის ჩვეულებრივ საქმიანობას.

პოლიტხელმა წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა დაჰყო სამ ჯგუფად: მცოდნე, მცირე მცოდნე და უცოდინარებათ, და ყველასთან შესაფერ მეცადინეობას აწარმოებს.

ბატარეიამ მიიღო ახალწვეული წითელ არმიელები, რომლებთანაც სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა ხასიათის საუბრები.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## კავშირი განა ასეთი უნდა?

### მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.

ქართულ მეთაურთა სკოლა უკვე გავიდა საბანაკოთ. საზაფხულო პრაქტიკულ მეცადინეობასთან ერთად ჩვენი მიზანი იყო დაგვეკავშირებია მჭიდრო კავშირი გლეხობასთან, შეგვესწავლა მათი ცხოვრების პირობები და სათანადო დახმარებაც გაგვეწია.

თავიდანვე ჩვენ შეუდექით გლეხობასთან დაკავშირებას, მზათ ვართ დავეხმაროთ მათ რითაც კი შეიძლება. ჩვენი საერთო ლოზუნგია „სოფლისაკენ—გლეხობისაკენ, კავშირი და დახმარება მათ რითაც კი შეიძლება“.

საუბედუროთ ყველაფერი მას მხოლოთ სიტყვად და ქაღალდზე რჩება.

აი მაგალითიც: ჩვენ სკოლაში მოხდა ასეთი შემთხვევა: მოდის გლეხი და მოჰყავს მას ავადმყოფი შვილი, რომელსაც ესაჭიროება ექიმის დახმარება, მიდის ექიმთან და თხოვს, რომ შვილი ავად ჰყავს და გასინჯოს ავადმყოფი.

გასინჯვის მაგივრად გლეხმა მიიღო შემდეგი დახმარება: „ჩვენ ნება არა გვაქვს, რომ თქვენი შვილი გავსინჯოთო-“ო.

იძულებული გახდა გლეხი, რომ უკან დაბრუნებულიყო და გულ მოკლული წაიდა საწყალი კაცი თავისი ავადმყოფი შვილით.

აღარ ვიცით, რით უნდა დავეხმაროთ და დაუკავშირდეთ გლეხებს ან როგორ შეხედავენ ისენი ჩვენს საქციელს, როდესაც ასეთი უბრალო თხოვნა ვერ შეუსრულეთ მათ.

სამხკორი ჩუმათელეთი.

# ვაზიანში.

(სურათი)

ძღვნად ჩვენს არტილერისტებს

დილა...
გომბორის მთით
ამოდის მზე,
და,
მის ციმციმზე,
თავაზიანი
ხმით
დაჰქრის
ქარი...
ო,
ვაზიანი,
გადაღელილა
და,
ჰყრის
სურნელსა:
გიჟი ჰენება
ჰქარგავს ველს
და,
უალვირო ცხენებზე
ელავს შვენება...
მწვანე ქაიბზე,
ვარდის დუგმად,
უხდება წითელ დროშას ფრიალი;
ლამაზ ნადიმზე
არ მიდის უქმად
დრო,
და,
ფიალით,
სადღეგრძელოებს გადადის ტურფა ბუნება...
თეთრი კარვები, ქვემეხებზე,
იბერტყენ კალთებს;
ცა ფირუზ თვალით ესალბუნება
და,
ბრძოლად გასვლის კოცონებს
ანთებს...
ჩაქუჩ-ნამგლის გვირგვინში,
ხუთქიმა ვარსკვლავს:
წითელი მეზარბაზნეები
ო,
ჰხვევენ გარს მკლავს...
კომუნის დაცვად
საამო სიმღერა ისმის:
ძველ ქვეყნის დაწვად,
ხანძარი მოსჩანს მაისის...
იწყება: „მრავალჟამიერ“
„ჩარირამა“;
ო,
სამყაროს აფეთქებას
ზვერს პანორმა...

სეზმან.

## წიგნს თავის დროზე უნდა დაბრუნება.

მეხუთე ლეგიონში გვაქვს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც მოიპოვება როგორც ქართული ისე რუსული წიგნები. მაგრამ საუბედუროთ მკითხველი ნაკლები ჰყავს ამ წიგნებს.

გარდა ამისა უნდა აღვნიშნო, რომ წესი წიგნების წაღებისა და მოტანისა არ არის დაცული, როგორც ეს სხვა ბიბლიოთეკებშია. ხშირი მოვლენაა, რომ რომელიმე მეთაური წაიღებს წიგნს და მთელი ორი და სამი თვე სახლში აქვს დაგდებული, ეს იმ დროს, როდესაც სხვა მეთაური ან წითელარმიელი გაფაციცებით ეძებს სწორეთ ამ წიგნებს და ვერ შოულობს.

მე შემიძლია მოვიყვანო მაგალითი ასეთი: ჩვენს ბიბლიოთეკაში გვქონდა ერთი წიგნი,—რ. კ. პ. მოკლე ისტორია კ. ორაგველიძესი, რომელიც წაიღო ერთმა მეთაურმა და ოთხი თვეა, რაც სახლში უგდია და არ მოაქვს. ამ წიგნს კი წ.-არმიელები გაფაციცებით ეძებენ და ვერ უშოვიათ.

იმედია რომ ჩვენი ახალი ბიბ-გამგე ამხ. დევაძე გამოასწორებს ამ ნაკლს.

სამხკორი ტრაქტორი.

## ჩვენ გვბაძავენ.

### პირველი საკავშირო ასეული.

ჩვენი საკავშირო ასეული უკვე შეუდგა საბანაკო მყუდრო ცხოვრებას. თითქმის ყველა ჩვენს არმიელებს პირველად უხდებათ ასეთი ცხოვრების გატარება. ბანაკობა მათთვის უჩვეულო და უცხო ხილი იყო, მიუხედავად ამისა ჩვენი უფროსების ენერგიულმა საქმიანობამ იმდენი ქნა, რომ ჩვენი კარვები და ბინა წასაბაძველად გადიქცა ჩვენთან ახლო მდგომ ნაწილებისათვის.

დახელოვნებულ, სპეც მეთაურების ხელმძღვანელობით არმიელებმა ძლიერ ლამაზად მოაწყვეს კარვები. მოდიან სხვა ნაწილები და ჩვენგან იღებენ მაგალითს.

ჩვენმა არმიელებმა თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს. როდესაც მივემგზავრებოდით ბანაკში, სადგურზე თუთხმეტი წუთის განმავლობაში დატვირთეს ვაგონი ყველა საჭირო საგნებით. სპეციალურ საველე მეცადინეობას უკვე შეუდექით აქაც დიდ ინტერესს და საქმისადმი სიყვარულს იჩენენ ამხანაგები, რამაც კარგი შედეგების წინაშე უნდა დაგვაყენოს.

სამხკორი ვ. ვანელი.

## ასეთი საქციელისათვის გაკიცხვის ღირსია.

### მეთაურთა სკოლა.

მეთაურთა გაერთიანებულ სამხედრო სკოლის სამწყობრო გუნდში უკვე მოვიდენ ახალწვეული არმიელები.

24 მაისს ერთი მათგანი ხარიტონ სიხარულიძე დამთვრალიყო ძალზე და ქუჩაში გამვლელ ქალიშვილებს შეურაცყოფას აყენებდა უშვერი სიტყვებითა და უზრდელად ხელის წაპოტინებით.

გაგვიხსენდა ამხანაგებს ძვე-

ლი დრო, როდესაც ახლად გამოწვეული „ნოვობრანცები“ ვინ იცის რას არ სჩადიოდენ ქუჩაში. ეს ძველი დამყაყებული მეფის წესწყობილების ნაყოფი იყო. ეხლა ასეთი საქციელი შეურაცყოფაა წითელი არმიელის სახელწოდების.

ჩვენ მოწოდებული ვართ წითელი არმიის რიგებში, რომ გავკულტუროსნდეთ და გავხდეთ მუშათა და გლეხთა დიადი ხელისუფლების დამცველი მხედრები და არა ისე მოვიქცეთ, როგორც მეფის ჯარის კაცები შეუგნებლად იქცეოდენ.

სამართლიანი იყო, როდესაც თავისივე ამხანაგები მისცვივდენ ხსენებულ ახალწვეულს და საშინლად გაკიცხეს ასეთი საქციელისათვის.

ყველა ახალწვეულმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი საქციელის ჩამდენს ადგილი არ ექნება სახელოვან წითელ არმიის რიგებში.

წ. არმიელი **სიმართლის მთქმელი.**

# ქალაქის კომენდანტის საყურადღებოთ.

არა ერთხელ ყოფილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ მომართვა თქვენდამი, რომ თქვენ ერთი ოთახი გეშოვნათ იმ მეთაურისათვის, რომელიც ლეგიონში სცხოვრობს და უქირავს ის ოთახი რომელიც სჭირდება ლეგიონს ქიმიური კაბინეტისათვის. საუბედუროდ ეს მომართვა და თხოვნა გაზეთის ფურცლებზედ რჩება და ჩვენ ოთახი მაინც ვერ გაგვინთავისუფლდა.

ამხ. კომენდანტო! გასცით განკარგულება, რომ ერთი ოთახი როგორმე ალმოგვიჩინოთ სადმე. მართალია ძალიან ძნელია ასეთის შოვნა, მაგრამ გაუწიეთ ანგარიში იმას, რომ ლეგიონის წითელ არმიელებს არა აქვთ ქიმიურ კაბინეტი რაიც აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენს.

უშოვეთ ერთი ოთახი პირველ ლეგიონს.

სამხკორი ბზიკი.

# ახალი ამბები.

— **სანიტარული გამოფენა** ამ ჟამად წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში ეწყობა სანიტარული გამოფენა შევსებული იქნება. გამოფენა მნახველთათვის გაიხსნება 1-ლი ივნისიდან.

— **თემალმასკომების მდივა**ნთა გადასამზადებელ კურსებზე, ცაკთან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობის კომისიის დადგენილებით მეცადინეობა იწარმოებს მხოლოთ თითო თვით.

— **საბიბლიოთეკო გამოფენა.** 24 მაისს სკოლის გარეშე მუშაკთა სახლში (ყოფ. პუშკინის ბიბლ.) გაიხსნა საბიბლიოთეკო გამოფენა, რომელიც გაგრძელდება 1-ლ ივნისამდე.

— **საბინაო კოოპერაციის** გასაძლიერებლათ თბ. ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა შრომის კომისარიატისა და საქარ. პროფკავშირთა საბჭოს წინაშე.

— **ახტალის ტალახით ექიმობა.** ტფილ. ალმასკომმა გადასწყვიტა ტფილისის ერთ ერთი აბანო გადააკეთოს ახტალის ტალახის საექიმო აბანოთ.

— **ფართლეულის შეძენა** იანვარ—მარტის განმავლობაში ცეკავშირმა შეიძინა 591.359 მანეთის ფართლეული.

— **მანგლისის საავარაკო** ბინების გასაფართოებლათ სახლების შეძენის მიზნით ქალ. ალმასკომმა გადასდო 9.350 მანეთი.

— **ციებ—ცხელებასთან** ბრძოლის მიზნით ჯანსამხკომს მაზრებში დაგზავნილი ყავს 21 ექიმი.

## ახალი რადიო ტექნიკაში.

**რადიო ვულკანში.**

ამ ახლო მომავალში ვულკან ეტნას (იტალიაშია) ყელში-კრატერში, მოეწყობა რადიო სადგური, რომელიც საშვალებას მისცემს მეცნიერებას წინასწარ გაიგონ ქვესკნელში ცეცხლოვან ლველფის-ლაფის მოძრაობა და ოდნავი ხმაური. ამით კი წინასწარ შეიძლება აუწყო ქვეყანას ვულკანის შესაძლებელ ამოხეთქის შესახებ. ამ საქმის ინიციატორები ირწმუნებიან რომ ამნაირად შესაძლებელი იქნება ვულკანის ახლო ახლო მიდამოებში მცხოვრები ხალხი გადაარჩინო დაღუპვასო.

**რადიო და მზის დაბნელება.**

ამერიკაში მომხდარ მზის დაბნელების დროს მოახდინეს მრავალი ხასიათის და უდიდესი მნიშვნელობის დაკვირვებანი, რომლებიც გამოქვეყნდებიან უახლოეს თვეებში.

ამ ჟამად უკვე დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს რადიო ტალღების „ორმაგი ბილიკის“ არსება.

ნორმალური გადაცემის დროს რადიო ტალღები თურმე მიემართებიან ორი გზით-„ბილიკით“: დედამიწის ზედაპირზე, ჩადიან ძირსაც და ატმოსფერის ზედაპირზედაც. ე. ი. იქ სადაც თავდება ჰაერის არსებობა.

მეორე „არა მთავარი“ ნაწილი ტალღებისა, მიიზიდებიან იმ მტვერისაკენ, რომელიც დატენილია ელექტრობით და ატმოსფერაში დედამიწის გარშემო ქმნიან ერთგვარ ფენას.

მზის დაბნელების დროს შემჩნეული იქნა, რომ დაბნელება სხვა და სხვა ნაირად გამოჩნდა ამ ორ სხვა და სხვა „ბილიკებზე.“

## აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 29.**

ეზოში არის ოთხკუთხი-კვადრატი წყლით სავსე აუზი. აუზის ერთი ნაპირიდან უნდა გადავიდეთ მეორეზე, მაგრამ არა ნაპირზე შემოვლით, არამედ პირდაპირ აუზის შუაზე გავლით. გაცურვა არ შეიძლება. აუზში დაცურავს ორი ფიცარი. ცალცალკე ისინი არც ერთი არ სწვდება ერთი ნაპირიდან მეორეს. აუზის შუაზე გავლისთვის შეგვიძლია მოვიხმაროთ ეს ფიცრები. მაგრამ შემდეგი პირობით: არ შეიძლება მათი ერთმანეთზე გადამბა. ხოლო წყალში მცურავ ფიცარს თუ დაადგი ფეხი დაიხრჩვები.




როგორ უნდა გავიაროთ აუზის შუაგულზე ამ ფიცრების მოხმარებით?

# მეცნიერება და ტექნიკა

**მოხერხებული ფრანგები.**

რა არ არის და რას არ იგონებენ საფრანგეთში, მხოლოდ ნავთის წყაროები კი არსად აქვთ თავის ქვეყანაში. ნავთის მოთხოვნილება კი დიდი აქვთ. რომ სავსებით დამოკიდებული არ ყოფილიყვენ ისინი ამ მხრივ უცხოეთის ბაზრებზე, საფრანგეთის ინჟენერები შეუდგენ იმის ძიებას თუ როგორ შეიძლება მოხერხდეს ნავთის ხელოვნურად დამზადება.

მათ კიდევაც გამოიგონეს ეს საშვალება.

ფრანგ ინჟენერებს ნავთი ხელოვნურად გამოყავთ უვარგისი უკვე მოხმარებულ ქვანახშირის ნაშთებისაგან. ეს ხელოვნური ნავთი კი გაცილებით უფრო იაფი ჯდება ვიდრე ჩვენი ბუნებრივი. ამნაირად უზრუნველყვეს ფრანგებმა თავი ნავთით.

**დუღაბი—სასწაული.**

საფრანგეთის ერთი საალმშენებლო მასალების დამმზადებელ ფირმამ დაამზადა უცნაიური დუღაბი (ცემენტი). მისი თვისებები მართლაც სასწაულებრივია. ასეთი თითქმის არაჩვეულებრივი მიმაგრის თვისებით არ ყოფილა აღჭურვილი აქამდე ცნობილი არც ერთი საალმშენებლო მასალა. მაგალითისათვის: შვეიცარიის მთებში ხსენებულმა ფირმამ ამ დუღაბით ააგო ასი მეტრის სიგრძე ხიდი.

ხიდი გადადებულია რღმა და პიტალო კლოვან ხევის თავზე. ერთი მისი შეხედვა შიშის ზრუანტელს გვრის ადამიანს. ამ სიგრძე ხიდი არაფერზე არ არის დაყრდნობილი. უბრალოდ გადადებულია ერთი კლდიდან მეორეზე. ასეთი დუღაბის გამოგონება ფართო პერსპექტივებს შლის საალმშენებლო ტექნიკის მომავალში. მისი საშვალებით ხიდები ისეთ ადგილებზე შეიძლება იქნეს ამის შემდეგ გაკეთებული, რომლებიც მიუდგომლად ითვლებოდენ აქამდე.

# სამნეო დარგის საკითხები.

**ერთი ნაწილიდან მეორეში გადასულ წითელ არმიელის სანივთო საგნებით დაკმაყოფილებაზე.**

მუშათა და გლეხთა წითელი ლაშქრის სამხედრო სამნეო სამმართველოს უფროსის მიერ მიქცეულია ყურადღება იმაზე, რომ წითელ არმიელების და მეთაურთა შემადგენლობის ერთი ნაწილიდან მეორეში მივლინების ან გადაყვანის დროს, არაა დაცული არსებული მომარაგების წესი მათ სანივთო კმაყოფაზე. ამნაირად ერთეულში მოდიან წითელ არმიელები, რომელთაც არაა აქვთ სანივთო კმაყოფის საგნები არც საკმარისად და არც დამაკმაყოფილებლად. საარმატურო სიებიც, რომელიც თან მოსდევთ მათ, შედგენილია დაუდევრად და ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ სიებში არაა ნაჩვენები დრო წითელ არმიელისთვის ნივთის გაცემისა, რის გამო შეუძლებელია კაცმა იქონიოს წარმოდგენა მიღებულ ნივთის ვადის შესრულებაზე, რათა ახალ სამსახურის ადგილას მაინც, მიექცეს სათანადო ყურადღება წითელ არმიელს.

ამიტომ, როდესაც ან რამოდენიმე წითელ არმიელი იგზავნება ერთი ნაწილიდან მეორეში, ან მთელი გუნდი მიემგზავრება, ან კიდევ მთელი ერთეული გადადის ერთი ოლქიდან მეორეში, საჭიროა, რომ მათი სანივთო საგნებით მომარაგების დროს, სავსებით დაცულ იქმნას რ. რ. ს. ს და ს. ს. რ. კავშირის რევ. სამხ. საბჭ. 1920 წ. 1753, 1922 წ. №№ 1061, 1609 და 1923 წ. № № 729 და 2187 ბრძანებები, რითაც იქნება თავიდან აცილებული ყველა ზემოაღნიშნული დეფექტები.

**რაიმე ნივთის მისაღებად უშუალოდ ცენტრში მიმართვა დაუშვებელია.**

მ. გ. წითელი ლაშქრის სამხ. სამნეო სამმართველოს უფროსის მიერ შემჩნეულია შემთხვევები, როდესაც ჯარის ნაწილები უშუალოდ მიმართავენ ცენტრს ამა თუ იმ დაკლებულ ქონების მიცემაზე, მაშინ როდესაც რ. რ. ს. ს. და ს. ს. რ. კავშირის სამხ. საბჭოს 1922 წ. № 1306 და 1923 წ. № 245 ბრძანებებში ნათლადაა ნაჩვენები, რომ ყოველგვარი ქონება უნდა მოთხოვნილ იქმნას მხოლოდ ოლქის (არმიის) საშუალებით და ამას გარდა ს. ს. რ. კავშირის სამხ. საბჭ. 1924 წ. № 659 ბრძანებით დაწესებულია მატერიალურ კმაყოფათა საგნების გაცემა განსაზღვრულ საკალენდარო ვადაზე ერთეულის შტატის შემადგენლობის მიხედვით. მაშასადამე ამა თუ იმ ნივთის მოთხოვნა ცენტრიდან, გარდა რასაკვირველია განსაკუთრებულ შემთხვევებისა, ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ ის პირები, რომლებიც სათავეში უდგანან ჯარის ნაწილებს, ვალდებულნი არიან სასტიკად დაიცვან წესი, ნაჩვენები კავკასიის წითელ დროშოვან ლაშქრისადმი 1924 წ. № 172 ბრძანებულობაში.

**გარდაცვალებულ სამხედრო პირების დამარხვა.**

ჯარის ნაწილებში, მათ საავადმყოფოებში და სამხედრო ლაზარეთებში გარდაცვლილ სამხედრო პირების დამარხვა უნდა სწარმოებდეს კუბოებით, წესით, თანახმად რ. რ. ს. ს. 1920 წ. № 646 რევ. ს. ს. ბრძანებისა. დასაფლავებით გამოწვეული ყველა ხარჯები, უნდა გაწეულ იქმნას ერთეულის სამნეო თანხებიდან, გინდაც ამან გამოიწვიოს ზოგიერთი მოთხოვნილებებს შეკვეცა.

**არა სამნეო საჭიროების დავთრების შეძენაზე.**

ჯარის ნაწილები ხშირად მიმართავენ არმიის მომარაგების სამმართველოს სამხედრო სამნეო განყოფილების უფროსს თხოვნით, სამწყობრო ანგარიშების საწარმოებელ დავთრების, აგრეთვე შემოსულ და გასულ საიდუმლო და არა საიდუმლო ქაღალდების ჩასაწერ წიგნების მიცემაზე.

ს. ს. რ. კავშირის 1924 წ. № 625 ბრძანებით სამხედრო სამნეო უწყებაზე დაკისრებულია დამზადება და გაცემა დავთრებისა მხოლოდ სამხედრო სამნეო კმაყოფათა საგნების ანგარიშებისათვის. ასე რომ არმიის მომარაგების განკარგულებით მზადდება წიგნები მხოლოდ აღნიშნულ საჭიროებისათვის, რაც შეეხება დანარჩენ ერთეულისთვის საჭირო დავთრებს, იგინი შეძენილ უნდა იქნას იმ ფულიდან, რომელიც ეძლევათ მათ სამდივნო—წიგნობრო (საკანცელარიო) ხარჯების საჭიროებისთვის.

**საზაფხულო ნივთების მ გ-ლა შენახვაზე.**

ზაფხულის მოახლოვების გამო, სამნეო დარგში მომუშავე პირები მოვალენი არიან ახლავე მიიღონ ზომები თბილ სანივთო საგნების შენახვაზე, რისთვისაც მათ უნდა გულდადებით გაამზეონ ეს ნივთები, გაბერტყონ, შემდეგში დაკეცონ და შეინახონ ამისთვის წინასწარ გამზადებულ ალაგას. ამას გარდა უნდა მიღებულ იქმნას ზომები, რომ ეს ნივთები არ გააფუჭოს ჩრჩილმა.

ს. **შაკუნი.**

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** 1924 წლის განმავლობაში ვმსახურებდი სხვადასხვა ლეგიონებში. ერთიდან მეორე ლეგიონში გადასვლის გამო, შვებულებით სარგებლობა ვერ მოვახერხე. გთხოვთ მიპასუხოთ შემიძლია თუ არა ნაცვლად შვებულებისა, ვისარგებლო საკომპენსაციო ჯილდოთ?

პოლიტხელი **გიგანტი.**

**პასუხი.** შვებულებაში წაუსვლელობისათვის საკომპენსაციო ფულის მიცემა აკრძალულია.

პარტ ცხვ

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის მეორე კომჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ. პარტიაში მიღების შესახებ, შემდეგ ამხანაგებს:

კომპარტიის კანდიდატს ჯანგულაშვილი გიორგი დავითის-ძეს, პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ.

ახკომკავშირის წევრებს პარტიის კანდიდატებათ გადარიცხვის შესახებ: ხარებავა აპოლონ დავითის-ძეს, იმნაიშვილი სულეიმან ყეზეთის-ძეს და კოპალიანი ნიკოლოზ უფლისას-ძეს.

**უპარტიოებიდან**

ოგანეიშვილი ივანე გიორგის-ძეს, ნარიმანიძე გიორგი ვასილის-ძეს და შენგელია დორეთე სიმონის-ძეს.

თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ხსენებულ ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ქ. სურამი, ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის მეორე კომჯრედის ბიურო.

პასუხისმგებელი მდივანი **კ. სოხაძე.**

პასუხის მგებელი რედაქტორი **დ. ჩანტლაძე.**

ნ. დ. ს. ც.
სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3.